ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ე. კ. ა. გ.-ის წინააღმდეგ

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ კბილაშვილი - კოლეგიის წევრი
გიგა კვერენჩხილაზე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი –ე. კ.

ადვოკატი, ვის მიმართაც საჩივარია შეტანილი - ა. გ. სიითი №2541.

საივრის რეგისტრაციის ნომერი: N 032/10

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის შემადგენლობა.

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
კახა წერეთელი - კოლეგიის წევრი
ზურაბ ძლიერიშვილი –კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. 2010 წლის 7 ივნისს ს.ს.ი.პ.„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის„ ეთიკის კომისიაში განსახილველად შემოვიდა მოქალაქე ე. კ.-ს განცხადება ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ, საჩივრის ავტორი განმარტავს რომ იგი ცხოვრობს გერმანიაში, შვილზე მეურვეობის მისაღებად ადვოკატად აიყვანა ა. გ., რომელსაც გადაუხადა მომსახურების თანხა შეთანხმებისამებრ 500 დოლარი 2009 წლის 2.11-ს. თუმცა

თვეების განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმის წარმოებაში არაფერი არ მომხდარა და ურთიერთობა ადვოკატთან უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგან ან ტელეფონი იყო გამორთული, ან უმტკიცებდა მხარეს რომ პოზიტიურ ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით შეატყობინებდა.

2. ე. კ.-მ 2009 წლის 22.12-ს ადვოკატს თანხის მოთხოვნისთანავე გადაუგზავნა 500 ევრო სესხის სახით, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია. 2010 წლის 11 მაისს 10 სთ-სა და 39 წუთზე ადვოკატმა მოკლე ტესტური შეტყობინებით მიულოცა პროცესის მოგება მომჩვანს და უთხრა რომ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის 250 ევრო იყო საჭირო. აღნიშნული თანხა ე. კ.-მ ადვოკატს გადმოუგზავნა. საჩივრის ავტორის განმარტებით იგი 2010 წლის აპრილის თვეში დასავლეთ საქართველოში იყო ჩამოსული ორი კვირით, თბილისში დათქმულ დროს ჩავიდა ადვოკატმა ა. გ.-მ კი განუმარტა რომ სასამართლომ აუცილებელად არ ჩათვალა ე. კ.-ს წარდგენა, ვერც ე. კ.-ს ძმამ ვერ შეძლო შეხვედრა ადვოკატთან ამ უკანასკნელის მიზეზით, რაზეც გაუჩნდა ეჭვი სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

3. 2010 წლის 27 მაისს 2 სთ და 24 წთ ე. კ.-მ იმეილით შეატყობინა ა. გ.-ს, რომ 2010 წლის 11 ივნისამდე წარედგინა ადვოკატს მისთვის მოგებული სასამართლო პროცესის საბოლოო საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ სარჩელს აღძრავდა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე საქმის გაჭიანურებისა და მოტყუების გამო.

4. 2010 წლის 30.06-ს ადვოკატმა ა. გ.-მ საქმესთან დაკავშირებით ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლითაც უარყო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები. მისი განმარტებით მომსახურების თანხა შეადგენდა 500 აშშ დოლლარს და 750 ევროს, რაც კლიენტმა ეტაპობრივად გადაუხადა. ადვოკატის განმარტებით მან კვალიფიციური და სრულყოფილი მომსახურება გაუწია კლიენტს, საქმის გაჭიანურება კი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მომჩივნის მეუღლე-მოპასუხე საქართველოში არ ცხოვრობდა და სასამართლომ ვერ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი.

5. ადვოკატმა ეთიკის კომისიას აღუთქვა, რომ თავისი მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე კლიენტთან აანაზღაურებდა გადახდილ თანხას.

6. განხილვის კოლეგიის სხდომა ჩატარდა 2010 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში. გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის, დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის თავმჯდომარე ბატონი კობა ბოჭორიშვილი. საჩივრის ავტორი ე. კ. ვერ გამოცხადდა სხდომაზე საქართველოში არ ყოფნის გამო. გამოცხადდა ადვოკატი ა. გ..

7. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კომისიის თავმჯდომარემ გამოხატა საპროცესო კოლეგიის პოზიცია, მხარი დაუჭირა 2010 წლის 30.06

გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, მიუთითა საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე.

8. ადვოკატმა ა. გ.-მ დაადასტურა გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებები, დაეთანხმა მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ განმარტა რომ მისი განზრახვა არ ყოფილა კლიენტის მოტყუება, არამედ მოპასუხის საქართველოში არ ყოფნის გამო გაუჭირდა მისი ადგილსამყოფელის დადგენა, ასევე აღნიშნა რომ სასამართლოში სარჩელი მოსამართლე ე. ც.-ის წარმოებაში არ ყოფილა, და ხარჯები რაც მიღებული ქონდა საჩივრის ავტორისაგან დაუბრუნა ე. კ.ს ძმას, რაზეც კოლეგიას დაპირდა ხელწერილის წარმოდგენას./თუმცა აღნიშნული არ წარმოუდგენია/. ადვოკატმა ა. გ.-მ განმარტა რომ მას ყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, არასოდეს არ ყოფილა მის მიმართ დისციპლინური დევნა, მისი განზრახვა არ ყოფილა კლიენტის მოტყუება, აღიარებს თავის ნამოქმედარს, ითხოვა პატიება.

9. კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს;
2. ე. კ.ს ელ ფოსტით გადაგზავნილ წერილების ასლებს ადვოკატ ალ.გიოშვილის მიმართ;
3. ალ.გიოშვილის ელ ფოსტით გადაგზავნილ წერილების ასლებს ე. კ.ს მიმართ;
4. რწმუნებულებას;
5. ადვოკატის ახსნა-განმარტებებს.

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. საჩივრში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არის დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, თვით ადვოკატ ა. გ.-ის ახსნა-განმარტებით.

2. განხილვის კოლეგიას მიაჩნია რომ ადვოკატ ა. გ.-ს პასუხისმგებლობის ზომად უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი -გაფრთხილება.

სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე.34-ე.35-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 10-ე-22-ე მუხლით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1, მე-3, მე-5,მე-8, მე-11 მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დადასტურებული იქნეს ადვოკატ ა. გ.-ის / სიითი №/ მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ადვოკატ ა. გ.-ს განესაზღვროს გაფრთხილება.

3. გადაწყვეტილება გადაეგზავნოს ადვოკატს მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

4. ადვოკატ ა. გ.-ს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კოლეგიის წევრი: გიგა კვერენჩხილაზე